



დღეს

გამოცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 ლექსიანი საშუაგატი 2011
№ 287 (13584) ფასი 80 თეთრი

რა გვინდა დღეს? დიდი ბაზი!



ჩვენი
არმია
VS
გეორგიელები

12

შედგება რევანში ბემიქოშთან თურქეთში განცდილი მარცხისთვის?

მოახდენს დორგოუნდი სასნაულს? აითხვების ხასხალი: ჩალსი თუ პალანსია? ზანიბი თუ ჰორბა?



CHAMPIONS
LEAGUE

9

დღეს

ჩამპიონთა ლიგა. ჰაუფარი ეტაპი. დღევანდელი მატჩების წინათქმვა

როგორია დასაწანი, მარბამ, უფრო ოქრო?



8



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო
დღეს

ქსელური

მალხაზ ასათიანი: ჩემთვის არჩევანის უფლება არ მოუციათ

ის ყოველთვის გამოჩენილი იყო, რაღაცნაირი, თავისებური აფეთქებებით... ის გულშემბატკივარსაც თავისებურად უყვარდა, ალბათ, თავმდაბლობის გამოც... მას არასდროს უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, თითქოს არ გრძნობდა თავს კომფორტულად ასეთ სიტუაციაში... მას შეეძლო თამაშის გაკეთება, ლიდერობა, ერთი მოძრაობით თვალის და მეტოქის დაცვის მოჭრა...

ის ყოველთვის იმედი იყო, მაშინაც კი, როცა საუკეთესო ფორმაში ვერ იყო... ჯერ კიდევ ათი-თორმეტი წლის წინათ მისი თამაშის სანახავად ხალხი საგანგებოდ დადიოდა სტადიონზე ქუთაისში, სადაც განსაკუთრებულად, თავისებურად უყვართ ფეხბურთი და ნიჭიერი ფეხბურთელები...

მისი კარიერაც თავისებური გამოდგა, ცოტას როდი მიაღწია, მაგრამ მისგან ყველა მეტს ელოდა საქართველოში...

მისი გოლით საქართველომ მოუგო რუსეთს... მალხაზ ასათიანმა თავისებური სევდა დაგვიტოვა... ის ახლა 30 წლისაა და თითქმის ერთი წელია, რაც ფეხბურთს აღარ თამაშობს, აღარ აკეთებს იმას, რაც ძალიან კარგად იცის...

ასათიანმა საქართველოს ნაკრების წინა შესარჩევ ციკლში პირველი ოთხი მატჩი ითამაშა. გახსოვთ მისი სოლო რეიდი მალტასთან? ამის არდამახსოვრება შეუძლებელია, ასეთი რამ ხანდახან თითქოს გოლზე მეტია, ეს ყველას არ შეუძლია, თუნდაც მალტასთან...

მოკლედ, „ლელოს“ კითხვებს მალხაზ ასათიანი პასუხობს.

3



აღრე
თუ გვიან,
ჩნებნა
აღამიანთან
აუხილავლად
მოდის...



საქართველოს ჩემპიონატი

XVI ტურის მიმოხილვა

საფეხბურთო არიტმობა: ჩვეულებრივად და შირბულურად



დინამო-დილა 2:0

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

საქართველოში არასრული ტური რომ ტარდება; თუმცა, წინასთან შედარებაც არ შეიძლება: ახლა მხოლოდ ერთი მატჩი გადგა...

შეხვედრებია გათვალისწინებული, 6 დეკემბრისთვის „ჩვეულებრივ ცხრილში“ პირველ-მეორე ადგილებზე რომ იმყოფებოდნენ...

უჩვეულო დისბალანსი და მასპინძლობა

იმის მიუხედავად, რომ თამაშები არცთუ სახარბიელო კლიმატურ პირობებში ჩატარდა და ტურის არასრული იყო...



კოლხეთი-გაგრა 2:3

მამუკა ქანთარას ფოტო

ნამდვილად არ დაეწუნებოდათ. ხუთ მატჩში გატანილი 15 გოლი ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის, მით უფრო, ჩემპიონატის დაწყებიდან შვიდი შემთხვევა იყო...

(ორივე - „კოლხეთი“) და გიორგი რეხვიას მიხედვით, „დინამო“ თუმცა, გასული ტურის „უცნაურობა“ ამით არ დასრულებულა...

სადეპიუტო გოლეზი, მატჩები...

ბომბარდირთა დაგაში არაფერი შეცვლილა: არც ლიდერთა სამეულს (ჩისკო, დიმიტრი ტატიანაშვილი, ჯაბა დვალისძე) მიუმატებია თავისი აქტიურობის გოლეზი...

Player statistics table for the 16th round, listing names, teams, and goals scored.

შქვია, ისეთი როტაცია მოახდინა და არაერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება...

თი, „ზესტაფონი“ - „დინამო“, „ტორპედო“ - „მერანი“, „ვიტ ჯორჯია“ - „სიონი“, „სპარტაკი“ - „ოლიმპი“, კიდევ ოთხ დღეში...

გია ტუხაშვილი

Table with 10 columns: ად, გუნდი, თ, მ, გ, ბ, პატივები, შ, ად, ბ, შ. Rows include teams like მებალურბი, ზესტაფონი, დინამო, მერანი, ტორპედო, ბანა, შირბულური, ბაბრა.

მოსაწყენად არავის ეცლება

ოთხშაბათს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩებია, კვირას - კალენდრით გათვალისწინებული XVII ტურის შეხვედრები...

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

აქამ უაჩინებლობა...

სამწესრიგად, უამინდობამ გარკვეული კორექტივები პირველი ლიგის გათამაშების კალენდარში შეიტანა. სეზონის დასაწყისში წინ გამოქვეყნებული კალენდრის მიხედვით...

Table with 2 columns: ა ზონა, ბ ზონა. Lists teams and their positions in the league.

გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტურის გამოსავარება

რიბერი რობენს ხალხად გაუწყრა

მე-15 ტურის სასიამოვნო დასკვნა: გლადზახის როისის ბარეზეც გუნდია

მიუნხენის „ბაიერნი“ დაბრუნდა. „ვერდერთან“ 4:1 რეკორდმაისტერისთვის მარტო ერთ-ერთი კონკურენტის განადგურებას კი არა, ლიდერობის დაბრუნებასაც ნიშნავდა. ფრანკ რიბერიმ და არიენ რობენმა მარტო გომესს გოლები მოპარეს, ხოლო ის ფაქტი, რომ მიუნხენური გრანდი მე-15 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს კვლავ სათავეში უდგას, მიუნხენგლადზახის „ბორუსიას“ დამსახურებაა. ლუსიენ ფაერის გუნდმა დაამტკიცა, რომ მარტო როისის გარეშე შეუძლია წარმატების მიღწევა – შესანიშნავ ფორმაში მყოფ „დორტმუნდთან“ ფრე, თანაც უმთავრესი ლიდერის გარეშე, „გლადზახისთვის“ დიხანა წარმატებაა. ვოლფსბურგში კი „მაგათის ეფექტს“ ისევ უშედეგოდ ელოდებიან. „მგლები“ „მანჩესტერს“ საშინაო შეხვედრა დიდხანს იგებდნენ, თანაც ორბურთიანი სხვაობით, მაგრამ ბოლოს მაინც სამი ტულის გარეშე დარჩნენ. სამაგიეროდ, ჰამბურგელებს შეუძლიათ იმით იამაყონ, რომ „ფინკის ეფექტი“ უკვე სახეზეა: სეზონის სტარტზე მოულოდნელად გააუტყაიდებელი „დინო“ ახალი მწვრთნელის ხელში ჯერ კიდევ დაუმარცხებელია, „ნიურნბერგთან“ 2:0-ის შემდეგ კი, HSV სულაც მე-11 ადგილამდე აბობლდა.



არიენ რობენმა და ფრანკ რიბერიმ შაბათს მარტო გომესს პეთ-ორიკი მოპარეს

რობა დავიბრუნეთო. იმედია, გომესიც ასე ფიქრობს...

გლადზახის მარტო როისი არ ყოფილა

მარტო როისის ბრწყინვალე თამაშის შედეგი იყო ის, რომ მიუნხენგლადზახურმა კლუბმა „ბორუსიას“ სახით ახალი მეტსახელი მიიღო. შაბათს, დორტმუნდულ სენიასთან მატჩში კი ლუსიენ ფაერის გუნდს თავისი მარგალიტი ტრავმის გამო აკლდა. შედეგად, „გლადზახს“ უნდა დაემტკიცებინა, რომ ეს გუნდი მარტო როისი არ არის. ფაერის შეგირდების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს მოახერხეს! გუნდმა როისის გარეშეც კარგად ითამაშა და მოქმედ ჩემპიონთან ქულა დაიმსახურა. ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ „გლადზახი“ ნამდვილად მინიმუმ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის კანდიდატი. და თუ მიუნხენგლადზახელებმა ეს მოახერხეს, რატომღა უნდა წავიდეს მარტო „ბაიერნი“? განა „ბორუსია“ გაცილებით უკეთ არ უღერს, ვიდრე „როიბერი“?

ფინკს შესძლებია

„ჰამბურგის“ მთავარ მწვრთნელად რომ დაინიშნა, ტორსტენ ფინკმა ისეთი ილაპარაკა, გუნდის ხელმძღვანელებმა ერთი გაფიქრება ისიც გაიფიქრეს, ხომ არ შეეცდითო – HSV ბოლო ადგილზე იყო, ფინკი კი ამბობდა, გერმანიის თასის მოგება შეგიძლიათ, სადაც მივიღებთ, ყველაზე წარმატებული მიმოქვსო და ა.შ. მერე ქალმა გულშემატკივრებმა ტორსტენს ბუნდესლიგის ყველაზე სიმპათიურ მწვრთნელადაც

დაასახელეს და ჟურნალისტებიც მზად იყვნენ, ფინკი სასაცილოდ აეგდოთ, მაგრამ ნახეთ: „ჰამბურგი“ მის ხელში დაუმარცხებელია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩრდილოელები გასაყარდნი ზონიდანაც ამოძვრნენ. შესაბამისად, მხოლოდ ერთი რამ უნდა ვთქვათ: შესძლებია ამ კაცს მუშაობა!

ვოლფსბურგი მაგათის ხელში ვეღარ გაზრინდება?

მართალია მცირე, მაგრამ „ვოლფსბურგში“ ჯერ კიდევ აქვთ იმის იმედი, რომ ისტორია განმეორდება. როცა ფელიქს მაგათმა ოთხი წლის წინ, „ვოლფსბურგი“ პირველად ჩაიბარა, გესხომებათ, „მგლებმა“ პირველი ნრე მაშინაც საშინლად ჩაატარეს. სამაგიეროდ, მერე წრეში ითამაშეს ფანტასტიკურად და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვეს. „ვოლფსბურგმა“ ვერც მომდევნო სეზონის პირველ ნრეში ითამაშა კარგად (მე-11 ადგილი), მაგრამ სეზონის მერე ნახევარი ისევ ბრწყინვალედ ჩაატარა და სულაც გერმანიის ჩემპიონი გახდა. სწორედ ამ ისტორიების გამეორების იმედი აქვთ ქვემო საქსონიაში, მაგრამ...

შაბათს კინალამ შარშანდელი ისტორია განმეორდა – ერთი წლის წინ (მაშინ „მგლების“ თავკაცი მაგათი არ იყო), „ვოლფსბურგი“ „მანჩესტერს“ 3:0-ს უგებდა და 3:4 წააგო. „მგლები“ ამჯერადაც იგებდნენ, ოღონდ 2:0-ს და უპირატესობა მაინც ვერ შეინარჩუნეს – 2:2. „დესპოტი ფელიქსის“ სასარგებლოდ მხოლოდ ის უნდა ითქვას, რომ მიუნხენგად ასეთი ცუდი შედეგებისა, „ვოლფს-

ბურგი“ ევროზონას „მხოლოდ“ რვა ქულით ჩამორჩება. ასე რომ, ზამთარში ნორმალური ტრანსფერების განხორციელებისა და მერე წრის ტრადიციულად კარგად ჩატარების შემთხვევაში, ყველაფერი შესაძლებელია...

პრინცი ისევ გასაძვივად ეგზავლება

აი, „კიოლნიში“, კარგი ისტორიები ხშირად მეორდება და ყოველი მათგანი ლუკას პოდოლსკისთანაა დაკავშირებული. შტუტგარტში შესრულებული დუბლით „პრინცმა“ „თხებს“ ამჯერად ქულა გადაურჩინა. პოდოლსკი ამ სეზონში მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია – ეს მისი მე-11 გოლი გახლდათ მე-13 მატჩში. „კიოლნის“ ფანებს კი სხვა ისტორიის გამეორება არ სურთ – ბოლოს პოდოლსკი მათთან რომ თამაშობდა და ასეთ ფორმაში იყო, იმ სეზონს ლუკასის კიოლნიდან აბარგება მოჰყვა. 26 წლის ლუკასის ყიდვა ყველაზე მეტად ლონდონის „არსენალს“ უნდა. მართალია, „კიოლნის“ ფანებს ამის გაგონებაც არ უნდათ, მაგრამ ფაქტია, რომ ისევ მოვიდა დრო, პოდოლსკი უფრო მაღალ კლასში სცადოს, რადგან როდისღა, თუ არა ახლა?

XV ტურის სიგოლური ნაკრები

(3:4-3, კიკარი) იაროსლავ ვოლფსკი (ჰამბურგი, I) – დასტა (ბორუსია, II), მატს ჰუმელსი (ბორუსია, V), კრისტინა ვუსი (შალკე, II) – ბარინ რუბინი (ბაიერი, II), კრისტინა ვანდენბერი (შტუტგარტი, I), ტონი კროსი (ბაიერი, I), ვრანკ რიბერი (ბაიერი, VI) – კლას-ინა ვანდენბერი (შალკე, IV), პაოლო გარინო (ჰამბურგი, I), ლუკას პოდოლსკი (კიოლნი, V).

ფრანკ რიბერი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეეძვრა მოხვდა, რაც ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია. მასთან ძალიან ახლოს არიან დორტმუნდის „ბორუსიას“ დაცვის ბურჯი მატს ჰუმელსი (5) და „კიოლნის“ ლიდერი ლუკას პოდოლსკი (5). საინტერესოა ის, რომ ტონი კროსის „კიკერის“ სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრის ბედნიერება წილად პირველად ხვდა. არადა, რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ხვდება.

ბარინ ვიჩი

ვრანკ რიბერი (ბაიერი, I) „რიბო“ შაბათს ძალიან კარგ ხასიათზე იყო, რასაც თუნდაც იმაზე შეატყობდით, რომ ყველა ჟურნალისტს აბსოლუტურად ყველა კითხვაზე პასუხობდა. 28 წლის ფრანკ ნახევარმცველს მართლაც კარგი დღე ჰქონდა: ორი გოლი და ერთი საგოლე პასი „ვერდერთან“. საერთო ჯამში, 15 ტურის შემდეგ მის ანგარიშზე უკვე 8 გოლი და 9 საგოლე გადაცემაა.

გოტფრიდ ლენცი

მკონსული ანგარიშები სსსამართლო განხილვის ეტაპი

დღეს თურქეთის პროკურატურა გარიგებული საფეხბურთო მატჩების სკანდალის გამო დაკავებული 93 ადამიანის საქმეს სასამართლოში გადაგზავნის. ქვეყნის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა ხელი უკვე მოაწერა კანონს, რომელიც სკანდალში გახვეული პირების მდგომარეობას ბევრად ამსუბუქებს (რაც ოპოზიციის კრიტიკის საფუძველი გახდა). ამის მიუხედავად, თუკი პრალდება დაუმტკიცდა, განსასჯელთაგან ყველაზე გავლენიან ფიგურას, „ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტ აზიზ ილდირიმს 114 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. შეგახსენებთ, რომ „ფენერბაჰჩეს“ ბუკმეიკრული სკანდალების გამო ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლება და თურქეთის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს. სეზონული სანქციები ემუქრებათ „ტრაბუნსპორის“, „ბუშეიქთაშის“, „გალათასარაის“, „ფენერბაჰჩეს“ „ბურსასპორისა“ და „ემიშეჰისპორის“ ფუნქციონერებსაც.

პალანსიანისა და ფიენოროდის საერთო ინტერესი

ვრანკ რიბერი „ვალანსიენმა“ ლონდონის „არსენალს“ რიო მიაჩის ექვსთვიანი პრენდა შესთავაზა. შეგახსენებთ, რომ 19 წლის იაპონელი შარშან „ფიენოროდის“ ლირსებას 5 თვის განმავლობაში იცავდა, სადაც დიდებული შთაბეჭდილებები დატოვა. როტერდამელებს თინეჯერი იაპონელის დატოვება კიდევ ერთი წლით სურდათ, რაც „არსენალი“ არ დათანხმდა. ფეხბურთელი ლონდონში კი დაბრუნდა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩა, რადგან არააუხე ძირითადში, სათანადო რიტა სკამზე მოხვედრაც უჭირს. რონალდ კუმანის „ფიენოროდი“ მიაჩის იჯარით აყვანას კიდევ ერთხელ შეეცდება.

შეხვედრებით 2012 წელს

„ტულუზის“ 21 წლის თავდამსხმელი ემანუელ რივიერმა ტრავმის გამო „ლიონის“ – „ტულუზის“ შეხვედრაში მინდორი უკვე 33-ე წუთზე დატოვაროგორც გუმინ აღენ კახანოვამ განაცხადა, ემანუელმა ბარძაყი დაიზინა, რის გამოც სავარჯიშო პროცესის სამი კვირით ჩამოშორდება, შესაბამისად გულშემატკივარი მას 2011 წელს მინდორზე ვეღარ იხილავს.

ლევან გიგილაშვილი

Table with 2 main sections: 'საუკეთესო ფეხბურთელები' (Best players) and 'გოლს კლას ახის რეიტინგი' (Goal classification rating). Each section has columns for player name, team, and goals.

Advertisement for Hairline International featuring two men in suits and text in Georgian. Includes contact info: T: 30 00 30, 893 62 32 62, www.hairline.ge.

ერთიანი ნიშნითა და ერთიანი ნიშნითა

თავისუფალი ჟიურის რეგულაციები

გალანჯები ყველგან არიან, არ არის პირობები

ბოლო წლებში გორელი თავისუფალი სტილის მოჭიდვეები ავანსცენიდან არ ჩამოდიან...

გომარეობის გამო აჯობებს ევროპის ჩემპიონატი გამოტოვოს და მხოლოდ სალიცენზიო ტურნირებზე გავიდეს...

60 კგ-ის ფინალში სულაც გორელები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, სადაც შარშანდღეა მფორე პრიზიორმა დავით ბერძინიძემ...

ბალიაშვილი და ბერძინიძე ერთმანეთს შეასაძლებლობების ფალანგები არიან, მათ შორის ასაკში სხვაობა კი ექვსი წელია...

ბატონო ნუგზარ ბესიკოვილის (55 კგ) დაბრუნებით დაიწყო, რომელიც ბევრს უკვე ჩამოწმებული იყო...



ბესიკი ახლა უკვე მერვედი (!) გახდა საქართველოს ჩემპიონი. ფინალში მან აბრალტურად დამაჯერებლად სძლია ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს...

გოგმელიძე საქართველოს ჩემპიონატი ტრადიციულად იოლადა მოიგო... ხელზე გაკეთებული ოპერაციის მერე სტაციონალურმა და ამბულატორიულმა მკურნალობამ გიორგის ცოტად როლი წაართვა...

ზოგიერთ საჭიდაო სახეობაში ქვეყნის ჩემპიონატზე შიდა ქართლს სპორტსმენთა განსაზღვრული კვოტა აქვს. თქვენ რამდენი ფალანგის გაყვანის უფლება გექვს...

უკვე არანაირი შეზღუდვა აღარ გვაქვს. პირიქით, რაც მეტს გავიცავით, უკეთესად მიიწვევენ. არადა ადრე, როცა ახალი დანაყოფი გვექონდა გორში მუშაობა, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ჩემპიონატებზე უფროდ, ფორმალურად გულსთვის თუ გვექცხდნენ ხოლმე...

სასამაგონო იქნებოდა გორის მსგავსად, სხვა რეგიონებშიც იყოს ასეთი მდგომარეობა... რასაკვირველია, ცუდია, როცა რეგიონებში პერსპექტიული მოჭიდავის კლასის ზრდა სიჭაბუკის ასაკის მერე ფერხდება...




ამ წონის უპირველესი ფავორიტი ლადო ხინჩაგაშვილიც თქვენი შვიკონია, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატზე დასვენების უფლება მისცეს...

55 კგ-ში ოლიმპიური ლიცენზია გერგეობით მოპოვებული არა გვაქვს. ჭიდაობის ფედერაციას და ოლიმპიურ კომიტეტს ხინჩაგაშვილის ეიმედებათ და ლადოც ამიტომ გაათავისუფლეს შეჯიბრებებიდან...

სასამაგონო მოულოდნელობა იყო 29 წლის ამირან ელბაქიძის ხელახლა ხილვა კვარცხლბეკზე... ელბაქიძე 55 კილოში ბრინჯაოს პრიზორი გახდა. შეგახსენებთ, რომ იგი 50 კგ-ში მსოფლიოს მესამე პრიზორია...

თუშიშვილი ტრავმით, მაგრამ ისევ ჩემპიონად დაბრუნდა... ოთარი არის შესაძლებლად მეტობოლი სულის სპორტსმენი. კუნთი ხომ დიდი ხანია ანუხებს...

გამოკითხვა



2011 წლის ადამიანებისა და კომპანიების - „ოქროს პერგამენტს“ ლაურეატები 24 დეკემბერს ბაგრატიონის დარბაზში 12 ნომინაციაში დასახელდებიან...

ქალაქი

ლიდაკაბი დაზავდნენ

საბარტოპოლოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის მე-4 ტურში გუშინ მენინავეთა უმეტესობამ დაზავება არჩია...

თითო ქულით ჩამორჩებიან

ქსპნურ ნავალმორალ-დე-ლა-მატამ გრძელდება მოჭადრაკეთა მე-17 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატები კონსტანტინე შანავა და თორნიკე სანიკიძე მონაწილეობენ...

ჯობააა მჯობნებს შორისაა

მიწანში კრესპის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოჭადრაკეთა 32-ე საერთაშორისო ტურნირის რეიტინგავაზორიტა ბაადურ ჯობავა, რომლის მხარდამხარ 10 დიდოსტატი იბრძვის მთავარი პრიზისთვის...

მკლავკილი

თითო ჯილდო ყველა სინჯისა

ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათიში დამთავრდა მკლავკილთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ...

ოქროს პერგამენტის ლაურეატს სპორტში გამოავლენენ

ლაურეატები გამოვლინდებიან შემდეგ ნომინაციებში: წლის ადამიანი, პოლიტიკოსი, ბიზნესმენი, ხელოვანი, ჟურნალისტი, სპორტსმენი...

წლის სპორტსმენი (გუნდი) არაბიკი მირი გორგოჯი გავაჟა კოვინაშვილი ლეჰანი მარსაბიშვილი დავითი სანიკიძე ვიტორი საბარტოპოლოს მორაგბეთა ნაპრაპი საბარტოპოლოს საკალთბურთო ნაპრაპი

P.S. გასულ წლებში სხვადასხვა ნომინაციაში სპორტის სფეროდან „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები არიან: მანუჩარ კვიციანი, საქართველოს საკალთბურთო ნაკრები, ირაკლი ცირეკიძე, ნოდარ ქუმათიძე...

მოგზარტი

უკრაინის ხანა მხიკა ცვლილებებით

სულ უფრო მინიმალური ცვლილებები შედის ყოველ ორშაბათს საწოგბურთო რეიტინგ-ლისტებში. ბუნებრივია, ტურნირთა რიცხვი კლებულობს, სპორტსმენთა უმეტესობა კი უკვე ისვენებს, ან ახალი სეზონისთვის ემზადება...

ანთალაში მორიგი 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო. ძირითად ბადეში გასვლას 16 წლის თამარ ჭკალავანიძე (ვილობოდა, მაგრამ პირველივე საკვალიფიკაციო ნრეში მე-7 ნომრად განთესილ იტალიელ ჯულია პაზინისთან (905) წაგო - 4:6, 0:6...

ახალგაზრდებში ყველაზე პრესტიჟული ტურნირ „ორანჯ ბოულზე“ საქართველოს სახელით იასპარეზა დანიელა დანიელა. 17 წლის ჩოგბურთელმა პირველ საკვალიფიკაციო ნრეში ამერიკელ კორტნი კოლტონთან წაგო - 2:6, 1:6...

ნიკოლოზ ნაწარნიკი

სპორტული რადიო ჯა - კო Ja - Ko FM 96.3

ლავრონეობი

ტახტები

კაპოვინა ყველას გულუში არჩია



ბურთით ვასილ კაკოვინი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში გამართულმა პირველი წრის ბოლოსწინა, მე-12 ტურის მატჩების შედეგებმა სატურნირო ცხრილში მხოლოდ ორი უმნიშვნელო ცვლილება გამოიწვია. ლიდერთა შორის ადგილები გაცვალეს ქართველ მორაგბეთა გუნდებმა „აჟენმა“ და „ტულონმა“. აჟენელები დაინაშურდნენ. ცხრილის ფსკერს თავი დააღწია კიდეც ერთმა „ქართულმა“ გუნდმა „ლიონმა“, რომელმაც ბოლო ადგილი ბასკურ „ბარიცს“ გადაულოცა.

მე-12 ტურის ვასილ კაკოვინის, დავით ხინაგვიშვილისა და ირაკლი ნატრიაშვილის „ბრივის“ გასვლითი შეხვედრით გაიხსნა „ბორდოსთან“. მატჩი დრამატული აღმოჩნდა. თამაშის დრო ამონურული იყო, ჩვენებურთა გუნდი 12:9-ს იგებდა. ბორდოელები ბოლო იერიშზე გადავიდნენ, მათი მრავალფაზიანი შეტევა ბრინელთა უფურადღებობის გამო ზედ ალაბთან ლელოთი დასრულდა, რამაც მასპინძლებს 16:12 გაამარჯვებინა. ბრინელები მხოლოდ ერთ პრემიალურ ქულას დასჯერდნენ.

ნატრიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, კაკოვინი მატჩში 45-ე წუთიდან ჩაერთო, ხინაგვიშვილს არ უთამაშია. ახლახან გაერცვლა ინფორმაცია, რომ საქართველოს ნაკრების შერჩევის ბურჯმა ვასილ კაკოვინმა, რომელზეც ბოლო დღეებში ფრანგული ნამყვანი გუნდები „ნადორბენი“, არჩევა იმ ქვეყნის გრანდზე, მოქმედ ჩემპიონსა და ამჟამინდელი გათამაშების ლიდერ „ტულუზზე“ შეაჩერა. ახლა, როგორც ფრანგული ყოველდღიური სარაგბო გაზეთი „მიდი ოლიმპიკი“ იუწყება, ყველაფერი „ბრივთან“ მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. კაკოვინს ამ გუნდთან კონტრაქტი 2013 წლის სეზონამდე აქვს გაფორმებული.

ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ სამი მატჩი მოიგო მამუკა გორგოძის, გიორგი ულენცის, მიხეილ ნარიაშვილისა და გოდერძი შველიძის „მონპელიემ“, რომელმაც სტუმრად უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა ბოლო ფაზს გაჭირვებაში მყოფი ბასკური „ბარიცი“ - 30:23.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა სამი ქულის სხვაობით 11:8 მოიგეს. თუმცა შესვენების შემდეგ მონპელიელები უპირატესობას ფლობდნენ და ანგარიში მუდმივად წინ იყვნენ. ყველაზე დიდი სხვაობა კი მატჩის ბოლო ხუთ წუთში დაფიქსირდა. მგეზავი ფრანსუა ტრინდუის ლელოს შემდეგ „მონპელიე“ ათი ქულით დაინაშურდა.

გორგოძე ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-61 წუთზე შეცვალეს, ულენცი თამაშში 63-ე წუთზე ჩაერთო, ნარიაშვილი მოედანზე ორ წუთის შემდეგ გამოჩნდა, შველიძე განაცხადში არ იყო.

გათამაშების მეორეადგილოსანმა დავით ზირაქაშვილის „კლერმონმა“ ანტონ ფიქერიშვილის მესამეადგილოსან „კასტრს“ უმსახინძლა და 33:16 მოუგო. პირველი ნახევარი კასტრელებმა მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით დათმეს - 9:13. მეორეში კი საგრძნობლად გამოცოცხლებულ „ვულკანებს“ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს.

ფიქერიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს, ზირაქაშვილს არ უთამაშია.

დავით ქუბრაშვილის „ტულონი“ სტუმრად ვერაფერს გახდა გათამაშების ლიდერ „ტულუზთან“. ქვეყნის ჩემპიონმა ამბიციური სამხრეთელები 33:12 დაამარცხა. ქუბრაშვილი თავდარიგში იყო და თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო.

წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობს ბექა შეყლაშვილის „აჟენი“, რომელმაც მე-12 ტურში შინ დაამარცხა ბასკური „ბარიცი“ - 37:18. შედეგად აჟენელებს 32 ქულა დაუგროვდათ და მესამეადგილოსან „კასტრს“ ერთი ქულით ჩამორჩება. ამასთან ერთად, „აჟენს“ ერთი თამაში თავდარიგში აქვს. შეყლაშვილს „ბარიციან“ არ უთამაშია.

გურამ კავთიძისა და ტარიელ რატინიძის „ლიონმა“ ბოლო ადგილს თავი შინ „პერპინიანის“ დამარცხების შემდეგ დააღწია - 19:12. რატინიძე 31-ე წუთზე შეცვალეს, კავთიძე განაცხადში არ იყო.

I დივიზიონი

XII ტური

ბორდო-ბრივი 16:12, ტულუზი-ტულონი 33:12, კლერმონი-კასტრი 33:16, სტად ფრანს-მეტრო რასინგი 29:3, აჟენი-ბაიონი 37:18, ლიონი-პერპინიანი 19:12, ბიარიცი-მონპელიე 23:30



სე-მეტრო რასინგი 29:3, აჟენი-ბაიონი 37:18, ლიონი-პერპინიანი 19:12, ბიარიცი-მონპელიე 23:30

- საბურთაო მდგომარეობა**
1. ტულუზი - 43 ქულა, 2. კლერმონი - 40, 3. კასტრი - 33, 4. აჟენი - 32, 5. ტულონი - 30, 6. სტად ფრანსე - 30, 7. მეტრო რასინგი - 30, 8. მონპელიე - 27, 9. ბრივი - 22, 10. ბორდო - 21, 11. ბაიონი - 20, 12. პერპინიანი - 20, 13. ლიონი - 17, 14. ბიარიცი - 15.

XIII ტური

ბრივი-კლერმონი, ბაიონი-კასტრი, სტად ფრანსე-ბიარიცი, პერპინიანი-ბორდო, მეტრო რასინგი-აჟენი, ტულონი-ლიონი, მონპელიე-ტულუზი

მეორე დივიზიონში გიორგი მენაბდიშვილის „გრენობლი“ სტუმრად დამარცხდა „ლა როშელთან“ - 16:18, მიუხედავად ამისა, „ალპელები“ ლიდერობას მაინც ინარჩუნებენ.

პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში სერიოზულად ჩაება ზერო პეტრი-აშვილისა და დავით ლოსაბერიძის „პო“, რომელმაც შინ დაამარცხა ალტსა-იდრი ალექსანდრე მარგველაშვილის, დავით დადუნაშვილისა და თედო ზიზიბაძის „პერიგო“ - 26:14. ზიზიბაძე 22-ე წუთზე შეცვალეს, დადუნაშვილი თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო, ლოსაბერიძეს, პეტრი-აშვილსა და მარგველაშვილს არ უთამაშიათ.

ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა და გიორგი ნაცარაშვილის „ორიაკმა“ შინ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ოიონაქსთან“ 18:9. დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ასეიშვილი 52-ე წუთზე შეცვალეს, ნაცარაშვილი განაცხადში არ იყო.

მამუკა მაგარაქველიძისა და ირაკლი მირცხულავას „ტარბმა“ შინ დაამარცხა „ნარბონი“ - 19:13. მაგარაქველიძე მოედანზე 55-ე წუთიდან გამოჩნდა, მირცხულავას არ უთამაშია.

II დივიზიონი

XII ტური

ექსი-ოში 33:23, ალბი-მონ დე მარსანი 14:15, ორიაკი-ოიონაქსი 18:9, ბურგუნე-ბენე 9:3, პო-პერიგო 26:14, ტარბი-ნარბონი 19:13, დაქსი-კარკასონი 23:23, ლა როშელი-გრენობლი 18:16.

- საბურთაო მდგომარეობა**
1. გრენობლი - 39 ქულა, 2. დაქსი - 37, 3. მონ დე მარსანი - 34, 4. პო - 34, 5. ოიონაქსი - 33, 6. ლა როშელი - 32, 7. ალბი - 31, 8. ბურგუნე - 31, 9. ექსი - 30, 10. კარკასონი - 29, 11. ტარბი - 29, 12. ოში - 23, 13. ორიაკი - 21, 14. ნარბონი - 17, 15. ბენე - 15, 16. პერიგო - 13.

XIII ტური

ოში-ტარბი, ბენე-გრენობლი, ბურგუნე-ნარბონი, კარკასონი-ალბი, დაქსი-ორიაკი, ექსი-ოიონაქსი, მონ დე მარსანი-პერიგო, პო-ლა როშელი.



შეტევაში თედო ზიზიბაძე, უკანა პლანზე დავით დადუნაშვილი



დიდი შინი ნავიდა

უელსი-პისტარალია 18:24

უელსი: (15-9) ლი ჰალფენი, ნორსი (კაბერტი 69), სკ-ვილიამსი, რობერტსი, შ. ვილიმსი, პრისტლენდი (ბიგერი 74), ვილიამსი. (1-8) ჯენკინსი, ბენეტი (რისი 58), ენდრიუ (ბევიგტონი 59), დევისი, ევანსი (ტიპური 63), ლიდაიტი (ჯოუნზი 67), ვერბარტონი, ფალეტაუ.

25: პრისტლენდი, შ.ვილიამსი. 28: პრისტლენდი, გ. ბიგერი.

პისტარალია: (15-9) ეშლი-კუპერი (ტა-პუი 77), ტერნერი, პორნი, პარნსი, იოანი, ოკონორი, გენია. (1-8) სლიპერი, პოლოტანაუ (მური 52), მააფუ (ალექსანდერი 52), პროვილი, საიმონსი (მარგი 67), ჰიგინზი-თამი, პოკოტი (სამო 41), მაკკალმენი.

30: გენია, თრენერი, პარნსი. 33: ოკონორი

მსაპი: ჯონათან კაპლანი (სამ.აფრიკა)

ლურად მზად ყოფილიყო, ნებისმიერი ძალის მეტოქესთან სათამაშოდ.

ის სუკეთესო იყო საუკეთესოთა შორის. მისი დებლერება თითქმის შეუძლებელია. შეინი განსაკუთრებული კაცია და ბედნიერი ვარ, რომ ის გვერდით თამაშში მომიწია. იძულები მაქვს, უელსური რაგბის მამები სათანადოდ დააფასებენ და მის ცოდნასა და გამოცდილებას გამოიყენებენ, - თქვა ჯეიმზ ნორსმა, რომელიც უელსის ნაკრებში სწორედ შეინი ვილიამსის შემცვლელად მოიაზრება.

„თამაშის მერე ვაორბეული გრძობა დამრჩა. თამაშის არსი მის მოგებაშია. ავსტრალიის ნაკრები აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა, მაგრამ არ გამოვივინიდა. ამაზე გული დამწყვიტა, თუმცა ბიჭებს მინდა მადლობა გადაუხადო, მათ არავფერი დაუშურებიათ მიზნის მიხედვით.“

ავსტრალიის ნაკრები ძალიან ძლიერი მეტოქეა და მიხარია, რომ ჩემი სანაკრებო კარიერის ბოლო მატჩში, სწორედ ასეთ ძლიერ გუნდს გავუტანე ლელო, - თქვა შეინი ვილიამსმა ნამატჩევს.

რაც შეეხება თამაშს, პირველი ნახევარი მეორეზე ნაკლებად სანახაობრივი გამოდგა. ორივე გუნდი დატვირთულია ხუთი საჯარიმითი შეამცირა - 6:3. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ ავსტრალიელები გააქტიურდნენ. სტუმართა გუნდი სწრაფად და უფრო ორგანიზებულად ირჯებოდა და მასპინძლებს 23 წუთში სამი ლელო გაუტანეს. მატჩის 63-ე წუთისთვის „ვოლაბები“ 18 ქულის სხვაობით 24:6-ს იგებდნენ.

უელსელებმა მატჩის ბოლო 15 წუთშილა გამოიღეს ხელი. 66-ე წუთზე ლელო რის პრისტლენდმა მიითვალა. მატჩის ბოლო წუთზე კი შეინის ჯერიც დადგა. მან ჩვეულ სტილში გვერდი მეტოქის ორ მორაგბეს აუარა და ლელო მალაყში გაიტანა. ვილიამსმა ნაკრებში 87 კეპი მოიხვეჭა და 58 ლელო გაიტანა.

გვერდი მოაზრება
ბესიკ ზანბაძე

ოლიმპიკი

ავღანეთი ოლიმპიურ ოჯახს ჩამოშორდა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ჟოაო აველანუი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოვიდა. პრაზილიელი ჩინოვნიკი სოკო-ის წევრი 1963 წლიდან იყო და რეკორდი დაამყარა ამ პოსტზე ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით.

ონატის მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებები. 2011 წელს ეს კომპანია გაკონტრირებულად გამოცხადდა. 2010 წელს, ფიფა-ს ხელმძღვანელმა პირებმა, რომლებმაც საკუთარი ფინანსების გაზრდა არ ისურვეს, განაცხადეს, რომ ამ ორგანიზაციის აღმასკომის ორმა წევრმა ISMM/ISL-სგან ქრთამის სახით დაახლოებით 5 მილიონი დოლარი მიიღო.

გოლფი

ვუდსმა ნავსი გაბნა

ლემბინარულმა ამერიკელმა გოლფისტმა ტაიგერ ვუდსმა კალიფორნიაში Chevron World Challenge-ის ტურნირი მოიგო. ამ შეჯიბრებაში გამარჯვება პირველია ვუდსისთვის პროფესიულ ტურში ბოლო ორ წელიწადში. ამ ორი სეზონის განმავლობაში ტაიგერის სახელს უამრავი სექსუალური სკანდალი უკავშირდება, რასაც მეუღლესთან დაშორება მოჰყვა.

ტი ბოლო ორი წლის განმავლობაში 52-ე ადგილამდე დაქვეითდა. ამერიკელმა ზედიზედ 26 ტურნირი წააგო, ხოლო მასთან სარეკლამო კონტრაქტი განწყობა არაერთმა მსხვილმა კომპანიამ.

ბიატლონი

გაბაღენა მიღის?

სანსაქონო ახალი ამბავი გაავრცელა გერმანულმა პრესამ. ბიატლონიში გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი უევი მოუსიგანტის ინფორმაციაზე დაყრდნობით ცნობილი ხდება, რომ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მაგდალენა ნოიერი ავსტრიის ქალაქ შოპილიცენში, მსოფლიოს თასის მეორე ეტაპის დროს სპორტული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადებს. თანამედროვეობის საუკეთესო ქალი ბიატლონისტი დიდი სპორტიდან წასვლას მიმდინარე

სეზონის დასრულების შემდეგ აპირებს. ავსტრიაში მოინვეწვენ სპეციალურ პრესკონფერენციას, სადაც მაგდალენა თავის გადაწყვეტილებას ოფიციალურად გამოაცხადებს.



მაგდალენა ნოიერი

სამთო-სათხილამურო სპორტი

პონის პეტი-თრიკი

ქალმა სამთო-მოთხილამურებმა მსოფლიოს თასის გათამაშება კანადის კურორტ ლეი-ლუისში გააგრძელეს. აქ სეზონში პირველად გათამაშდა პირველობა გიგანტურ სლალომში და თავის ერთ-ერთ საყვარელ დისციპლინაში ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა მსოფლიოს ჩემპიონმა, ამერიკელმა ლინდსი ვონმა.

ასე რომ, გიგანტურ სლალომში გამარჯვებით მან ლეი-ლუისში ერთგვარი პეტი-თრიკი შეასრულა.

მედ 19 მესამედი წამოიყვანა ავსტრიელს და სეზონში მეოთხე გამარჯვებას მიაღწია. ფერნიანგერი მეორე ადგილზე დარჩა, მესამეზე კი კიდევ ერთი ამერიკელი ჯულია მანკუზო გავიდა.

კალათბურთი

ჩაალი დასუსდა

მადრიდის „რეალი“ გამოთხოვა ორ კალათბურთელს, რომლებიც ლოკალურ დარბაზში შედგენაში მათი მისაღებად მზად არ არიან. ეს არის სერჟი იბაკემ და მცველმა რუდი ფერნანდესმა „სამეფო კლუბის“ შემადგენლობაში ბოლო მატჩი ჩაატარეს, რის შემდეგაც მაღლობა გადაუხადეს „რეალს“ ლოკალურ პერიოდში სათამაშო პრაქტიკის შენარჩუნებისთვის.

ფინიქსი კარბარს უშვებს

„ფინიქს სანს“ ვეტერან მცველთან ვინს კარტერთან გამოთხოვებას აპირებს. არიზონულმა კლუბმა ეს გადაწყვეტილება უახლოესი 72 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს. ამ შემთხვევაში „ფინიქსის“ ხელმძღვანელობა ვეტერან ვარსკვლავს გარანტირებულ 4 მილიონ დოლარს გადაუხდის და დაზოგავს 14 მილიონ დოლარს, რომელიც ვინსს კონტრაქტის მიხედვით ეკუთვნის.

ბაგინსა და პიკს პითაგორით უნდა

ამერიკელი პრესა ვარაუდობს, რომ „მაიამი ჰიტის“ ხელმძღვანელობას მსუბუქი ფორვარდის შეინ ბატიეს გადაბირების საუკეთესო შანსები აქვს.

გაუთხოვა ბრიტანელი იყიდა

ბრიტანეთის ნაკრების წევრი, 28 წლის ფორვარდი პოპს მენსა-ბონსუ თურქეთში გააგრძელებს კარიერას. კალათბურთელმა მიმდინარე სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი სტამბოლის „ბეშიქთაშთან“.

გაუთხოვა ბრიტანელი იყიდა

მენსა-ბონსუ ამაოდ ცდილობდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დამკვიდრებას. ოკეანის გაღმა მას „დალასის“, „სან ანტონიოს“, „ტორონტოს“, „ჰოსტონისა“ და „ნიუ ორლეანის“ შემადგენლობაში უთამაშია.

Table with 6 columns: Team, W, L, T, Pts, etc. for various basketball teams.

სხელი ხაზი

Table with 2 columns: Team, Score. Lists various sports teams and their scores.

ეროვნული

Table with 2 columns: Team, Score. Lists national teams and their scores.

TV პროგრამა

Table with 2 columns: Time, Program Name. Lists TV schedules for various sports events.

Table with 2 columns: Time, Program Name. Lists TV schedules for various sports events.

ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

Table with 2 columns: Team, Score. Lists women's handball teams and scores.

Table with 2 columns: Team, Score. Lists women's handball teams and scores.

● სპორტი



კაროლინა შტეპანოვა

კაროლინა შტეპანოვა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა კაროლინა შტეპანოვამ თავისი ახალი მწვრთნელის ვინაობა გაამხილა. როგორც დანიური პრესა წერს, ეს გახლავთ ცნობილი ესპანელი სპეციალისტი რიკარდო სანჩესი, რომელიც ადრე მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანთან, სერბელენა იანკოვიჩთან მუშაობდა.

სანჩესი 2011 წლის ბოლოს ინკოგნიტოდ აძლევდა კონსულტაციებს დანიელ ჩოგბურთელს, ახლა კი მისი ოფიციალური მწვრთნელი იქნება და

ჩოგბურთელის მამასთან - პეტერ ვოზნიაციუსთან ერთად იმუშავებს.

„რიკარდო სანჩესი - შესანიშნავი იდეაა. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, მან უკვე მოასწრო ჩემი მრავალი მატჩის ხილვა, მეზმარებოდა სხვადასხვა მეთოდების წინააღმდეგ ტექნიკის არჩევანში. მოკლედ, სანჩესმა კარგად იცის ჩემი თამაშის თავისებურებანი. აგრეთვე კარგად ხედავს პროფესიული ტურის სხვა ჩოგბურთელების სუსტ და დადებით მხარეებს“, - აღნიშნა ვოზნიაციუსმა.

რაფა ნადალი

ფედერერი ბაისად დევისის თასზე თამაშს აპირებს

დევისის თასის მოგების შემდეგ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა რაფაელ ნადალმა გამოაცხადა, რომ 2012 წელს არ ითამაშებს თავისი ქვეყნის რიგებში მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატზე. ესპანელმა ეს განცხადება პრესკონფერენციაზე გააკეთა. შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ ფინალში ესპანეთს გადამწყვეტი ქულა სწორედ ნადალმა მოუტანა.

რაფას სიტყვებით, 2012 წელს ის ლონდონის ოლიმპიადებზე გამოვლას გეგმავს, რის გამოც საკუთარი კალენდრის განტვირთვა აქვს გადაწყვეტილი. 2008 წელს ნადალმა პეკინის ოლიმპიადებზე ოქროს მედალი მოიპოვა და ახლა სერიოზულად აქვს განზრახული ტიტულის დაცვა. ჯერჯერობით უცნობია, დაბრუნდება თუ არა რაფაელი ესპანეთის ნაკრებში.

ნადალთან ერთად ნაკრებიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა დევიდ ფერერმა. ბოლო წლებში ისიც ესპანელთა ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და მან წლებადეულ ფინალში ერთდროულად მატჩებში ითამაშა.

...

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა აღიარა, რომ თითქმის გადაწყვეტილია 2012 წელს დევისის თასის მერვედფინალში ამერიკის მეერთებული შტატების წინააღმდეგ მისი თამაში.

„ფედერო, ამ შეხვედრაში ჩემს თამაშს ხელს არაფერი შეუშლის. მაგრამ ჯერ საბოლოოდ არ მომხდენია მომავალი



რაფა ნადალი

წლისთვის კალენდრის კორექტირება“, - განაცხადა ფედერერმა. „ნოუ იორკ თაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ ფედერერს 2004 წლის შემდეგ არ უთამაშია დევისის თასის საწყის ეტაპზე.

ავსტრალიის ჩემპიონი

ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა ეიკის დელაკუამ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ახალი რეკორდი დაამყარა - ამ ორგანიზაციის ეგიდით გამართულ ტურნირებზე მან ზედიზედ 30 მატჩის მოგება შეძლო. ადრე ამ მაჩვენებლით რეკორდსმენი გახლდათ ტაივანელი სუ-ვეი შიე.

26 წლის ავსტრალიელმა ამა წლის სექტემბრიდან მოყოლებული ექვსი ტურნირი მოიგო, თანაც 30 შეხვედრაში მხოლოდ სამი სეტი დაუთმო მეტოქეებს.

ჰინგისი მხარე

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა პარიზის გარეუბანში მონანილეობა მიიღო კონკურსში საჩვენებელ ტურნირზე. ჩოგბურთელის მეუღლემ ტიბალტ იუტინმა მარტინას კონკურსის რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარა, რის შემდეგაც ჰინგისმა უპრობლემოდ გადალახა რამდენიმე წინააღმდეგობა.



მარტინა ჰინგისი

უილიამსები იტალიაში



ვენუსი და სერენა

ამერიკელმა დედა-დაughters ვენუსი და სერენა უილიამსებმა ახალი სეზონისთვის მზადება იტალიაში დაიწყეს. კერძოდ, ქალაქ მილანში მათ საჩვენებელი შეხვედრები გამართეს იტალიელ ჩოგბურთელთაგან - ფრანჩესკა სკიავონესთან და ფლავია პენეტასთან.

პირველ შეხვედრაში სკიავონემ ორ სეტში მოუგო ვენუსს - 7:5, 7:3, შემდეგ კი ფრანჩესკა სერენასაც გაუსწორდა - 7:3, 8:10, 8:6.

უფროსმა უილიამსმა ფლავია პენეტასთან წააგო - 6:8, 2:7. როგორც სააგენტო AP წერს, ამ შეხვედრაში 11 ათასი მაყურებლის თვალწინ, ვენუსს კაბის შესაკრავი გაუწყდა. ამერიკელმა კორტი დატოვა და მალე სხვა კაბით დაბრუნდა, თან პოპკორნით ხელში, რომელიც ფლავიასაც უწილადა.

ბოლო ორი მატჩი ამერიკელების სასარგებლოდ დასრულდა. სერენამ მოუგო პენეტას - 6:8, 7:3, 7:3, წყვილების შეხვედრაში კი დედა-დაughters წააგო ფრანჩესკა და ფლავია.

ამ საჩვენებელი მატჩების შემდეგ სკიავონემ და პენეტამ გამოაცხადეს, რომ 2012 წლის სეზონში ისინი WTA-ის ტურნირებზე წყვილებში ერთად ითამაშებენ. იტალიელებს იმედი აქვს, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშების წყვილთა ტურნირზე გამოვლენ. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი სეზონის განმავლობაში პენეტა არგენტინელ ხისელა დულკოსთან ქმნიდა დუეტს და ამ ჩოგბურთელებმა 2010 წელს სეზონის შემავალი ტურნირი მოიგეს, 2011 წელს კი ავსტრალიის ლია პირველობა.

● ავტოსპორტი

ჩეხეთის ჩეხეთი დებიუტანტი გახდა

ავტოსპორტში სეზონი ტრადიციულმა საავტომობილო შოუმ - „ჩემპიონთა რბოლა“ დასრულა. ამჯერად, სხვადასხვა სახეობის სერის საუკეთესო პილოტები გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში შეიკრიბნენ და როგორც ყოველთვის გუნდურ და პირად პირველობებში გააკრვეს უძლიერესი.

როგორც უკვე ვნერდით, გუნდური შეჯიბრება ზედიზედ მეხუთედ გერმანიის ნაკრებმა მოიგო, რომლის რიგებში მიხაელ შუმახერი და სებასტიან ფეტელი გამოდიოდნენ. მეორე დღეს კი პირად პირველობაში გამოვლინდა გამარჯვებული. საინტერესოა, რომ ფორმულა 1-ის პილოტებიდან ნახევარფინალამდე მხოლოდ შუმახერმა გააღწია, მაგრამ ამ ეტაპზე მან ლე მანის რბოლების სპეციალისტთან ტომ კრისტენსენთან წააგო. გამარჯვება კი ფრანგმა რალისტმა სებასტიან ოუიემ მოიპოვა, რომელიც ჩემპიონთა რბოლის დებიუტანტი გახლდათ.

ოუიემ არც ისე დამაჯერებლად დაიწყო გამოსვლა და ჯგუფში სამიდან ერთი დუელი დათმო, მაგრამ შემდეგ მისი შეჩერება ვერავინ მოახერხა.

მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა მსოფლიო ტურინგის ჩემპიონი ენდი პრიოლი, რომელსაც მეოთხედფინალში გაუსწორდა, ნახევარფინალში მოუგო გერმანული სუპერტურიზმის საუკეთესო პილოტ მარტინ ტომჩიკს და ბოლოს, ფინალში „მისტერ ლე მანს“ ტომ კრისტენსენს აჯობა. თანაც ყოველთვის ფრანგის უპირატესობა ფინიშივე საკმაოდ სოლიდური იყო.

„ძალიან ბედნიერი ვარ, შესანიშნავი უქმები გამოვიდა! - განაცხადა სებასტიანმა. - ისეთი გამოცდილი პილოტი დავამარცხე, როგორც არის ტომ კრისტენსენი, რომელსაც კარიერაში უამრავი მოგება აქვს. მადლობა ყველას, ვინც ამ შოუს სანახავად მოვიდა!“



სებასტიან ოუიე

რაც შეეხებათ ფორმულა 1-ის პილოტებს, როგორც ვთქვით, დიუსელდორფში ამ სერიის ექვსი წარმომადგენლიდან საუკეთესო შუმახერი იყო, რომელმაც ნახევარფინალში შეწყვიტა ბრძოლა. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი სებასტიან ფეტელი მეოთხედფინალში სწორედ შუმისთან დამარცხდა, ამავე ეტაპზე გამოეთიშნენ ბრძოლას ჯენსონ ბატონი და დევიდ კულტჰარდი, ხოლო ჯგუფიდან ვერ გავიდნენ ვიტალი პეტროვი და რომან გროსჟანი.

გაერლი მომზადა
გია თვალაპივილია

RALEIGH
Talus 4.0
Aluminium Frame
Tektro Ncvtla Mechanical Disc Brakes
SHIMANO Gear System

875ლ

SHIMANO
Go Extreme TBills!

ტელ. 832 237 18 84
მობ. 551 263 737
თბილისის 61, საბურთალო
Email: kknvelidzebaa@yahoo.com
ჩვენს ვებ-გვერდზე 10:00-20:00